№ 405 2011 წლის 28 ოქტომბერი ქ. თბილისი

„2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის N77 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის N77 დადგენილებაში (სსმ, ვებპორტალი, 17/02/2011) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. N2 დანართის (ინფექციური დაავადებების მართვა) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 2,682.5 ათასი ლარით.“.

2. N3 დანართის (ტუბერკულოზის მართვა):

ა) მე-3 მუხლის:

ა.ა) „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა.ა[1]) ლაბორატორიული კვლევები 2011 წლის 1 ნოემბრიდან დასავლეთ საქართველოში, კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში განხორციელდება ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის ფარგლებში;“;

ა.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ტუბერკულოზის ლაბორატორიული მომსახურების პილოტი:

დ.ა) იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში ტუბერკულოზის ლაბორატორიული მომსახურების პილოტური განხორციელება (2011 წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით);

დ.ბ) დასავლეთ საქართველოში, კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში ტუბერკულოზის ლაბორატორიული მომსახურების პილოტური განხორციელება (2011 წლის 1 ნოემბრიდან).“;

ბ) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 9 631 015.0 ლარით დანართი 3.3-ის შესაბამისად.“;

გ) დანართი 3.1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 3.1 – ამბულატორიული მომსახურების დაფინანსება გლობალური ბიუჯეტით

N	თვითმმართველი ერთეულები	თვის ბიუჯეტი (2011 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით) (ლარებით)	თვის ბიუჯეტი (2011 წლის 1 ნოემბრიდან) (ლარებით)
1	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	819	624
2	ასპინძის მუნიციპალიტეტი	852	852
3	ონის მუნიციპალიტეტი	762	566
4	თიანეთის მუნიციპალიტეტი	825	825
5	ადიგენის მუნიციპალიტეტი	898	898
6	ცაგერის მუნიციპალიტეტი	853	633
7	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	798	603
8	მესტიის მუნიციპალიტეტი	810	616

9	ახალგორის მუნიციპალიტეტი	784	784
10	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	965	770
11	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	872	677
12	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	952	952
13	დმანისის მუნიციპალიტეტი	883	883
14	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	1,148	1,148
15	ახალციხის მუნიციპალიტეტი	924	924
16	დუშეთის მუნიციპალიტეტი	948	948
17	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	799	600
18	ქედის მუნიციპალიტეტი	817	621
19	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	862	665
20	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	866	671
21	ვანის მუნიციპალიტეტი	957	761
22	აბაშის მუნიციპალიტეტი	956	762
23	ხონის მუნიციპალიტეტი	902	707
24	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	1,109	914
25	წალკის მუნიციპალიტეტი	806	806
26	ქარელის მუნიციპალიტეტი	1,210	988
27	ხულოს მუნიციპალიტეტი	908	711
28	ახმეტის მუნიციპალიტეტი	1,015	791
29	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	820	621
30	ყვარლის მუნიციპალიტეტი	810	626
31	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	848	848
32	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	670	670
33	საჩხერის მუნიციპალიტეტი	978	795
34	ხობის მუნიციპალიტეტი	1,167	987
35	კასპის მუნიციპალიტეტი	1,317	1,097
36	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	920	920
37	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	1,029	1,029
38	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	1,150	969
39	მარტვილის მუნიციპალიტეტი	947	765
40	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	1,249	1,069
41	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	1,267	862
42	ხაშურის მუნიციპალიტეტი	1,098	876
43	სენაკის მუნიციპალიტეტი	1,355	1,174
44	მცხეთის მუნიციპალიტეტი	1,476	1,476
45	თელავის მუნიციპალიტეტი	932	747
46	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	1,420	1,420
47	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1,339	1,157
48	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქუტირი	208	208
49	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზამლეთი	2,363	2,015

50	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	2,887	2,484
51	თვითმმართველი ქალაქი ფოთი	7,896	7,494
52	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	3,439	3,032
53	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	3,370	2,967
54	მარნეულის მუნიციპალიტეტი	4,392	4,392
55	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	5,274	4,875
56	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	4,029	3,627
57	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	6,289	5,758
58	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	4,096	3,693
59	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	6,364	5,920
60	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	13,649	12,450
61	თვითმმართველი ქალაქი ბათუმი	12,463	11,474
62	გორის მუნიციპალიტეტი	9,609	9,075
63	თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი	13,412	10,996
64	ადიგენის მუნიციპალიტეტი, დაბა აბასთუმანი	3,339	3,339
65	თვითმმართველი ქალაქი რუსთავი	12,233	12,233
66	თვითმმართველი ქალაქი თბილისი	80,440	80,440.“;

დ) დანართი 3.3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 3.3 – პროგრამის ბიუჯეტი

N	ღონისძიება	ბიუჯეტი (ლარებით)
1	ამბულატორიული მომსახურება	2,886,560
2	რეფერენს კონტროლის კომპონენტი (მათ შორის, რეზისტენტული ტუბერკულოზის მართვის სრულყოფის ღონისძიებები)	1,043, 670
2.1	რეფერენს ლაბორატორია	419,650
2.2	ზედამხედველობა	96,000
2.3	რეზისტენტული ტუბერკულოზის მართვის სრულყოფის ღონისძიებები (2011 წლის 1 ოქტომბრამდე)	528,020
3	სტაციონარული მომსახურება (მათ შორის, რეზისტენტული ფორმების მკურნალობა)	5,669,410
4	იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში ტუბერკულოზის ლაბორატორიული მომსახურების პილოტური განხორციელება (2011 წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით)	11,200
5	დასავლეთ საქართველოში, კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში ტუბერკულოზის ლაბორატორიული მომსახურების პილოტური განხორციელება (2011 წლის 1 ნოემბრიდან)	20,175
	სულ:	9,631,015.“.

3. N5 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა):

ა) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 4,481.8 ათასი ლარით დანართი 5.6-ის შესაბამისად.“;

ბ) დანართი 5.6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 5.6 – პროგრამის ბიუჯეტი

N	მომსახურებები	ბიუჯეტი (ლარებით)
1	ანტენატალური მეთვალყურეობა	1,959,500.0
2	მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა	1,434,500.0
3	გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა	188,800.0
4	ორსულებში B ჰეპატიტის და აივ-ინფექციის/შიდსის განსაზღვრისათვის საჭირო ტესტებით უზრუნველყოფა	99,000.0
5	ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე	800,000.0
	სულ:	4,481,800.0.“.

4. N7 დანართის (სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტია 565 ათასი ლარი, აქედან:

ა) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ბიუჯეტი განისაზღვრება 465 ათასი ლარით;

ბ) მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ბიუჯეტი განისაზღვრება 100 ათასი ლარით.“.

5. N8 დანართში (ნარკომანია):

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები.“;

ბ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. ნარკომანიით დაავადებულთა სტაციონარული დეტოქსიკაციის ანაზღაურება ხორციელდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 1250 ლარისა, ხოლო პირველადი რეაბილიტაცია – ასევე ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 1000 ლარისა.

2. ნარკომანიით დაავადებულთა სტაციონარული დეტოქსიკაციისა და პირველადი რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში თვის ლიმიტი განისაზღვროს 23 პაციენტის მომსახურების საშუალო ღირებულებით – 51 750 ლარით.

3. ჩანაცვლებითი თერაპიის კომპონენტი დაფინანსდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ამ კომპონენტისთვის პროგრამით გათვალისწინებული თანხის 1/12-ისა ყოველთვიურად.

4. ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელებისას პაციენტის მხრიდან გათვალისწინებულია თანაგადახდა, რაც ერთი პაციენტის მხრიდან შეადგენს ერთი თვის განმავლობაში 150 ლარს. თანაგადახდა არ ეხებათ აივ-ინფექციით დაავადებულებს.“;

გ) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1,355.15 ათასი ლარით.

N	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათას ლარებში)
1	სტაციონარული დეტოქსიკაცია	68.75
2	ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის მიწოდების და სამედიცინო მეთვალყურეობის უზრუნველყოფა	1,286.4
	სულ:	1,355.15.“;

დ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 მუხლი:

„მუხლი 7. დამატებითი პირობები

პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს ბენეფიციართა რიგის ფორმირებას, სადაც პრიორიტეტი ენიჭება ბენეფიციარებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) პაციენტები, რომლებსაც ჯერ არ უსარგებლიათ „ნარკომანიის სახელმწიფო პროგრამის“ „სტაციონარული დეტოქსიკაციისა და პირველადი რეაბილიტაციის“ კომპონენტით;

ბ) აივ-ინფექციით/შიდსით ინფიცირებული პაციენტები, რათა შემცირდეს აივ-ინფექციის/შიდსის ტრანსმისია;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული იმ ოჯახების წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს;

დ) 18–25 წლამდე ასაკის პაციენტები;

ე) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები.“.

6. N9 დანართის (ანტირაბიული დახმარება) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 307.4 ათასი ლარით.“.

7. N15 დანართის (დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 18,439.1 ათასი ლარით.“.

8. N16 დანართის (გულის ქირურგია) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 7,607.9 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) გულის თანდაყოლილი მანკების კარდიოქირურგიული მკურნალობა – 3,798.6 ათასი ლარით;

ბ) გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიების კარდიოქირურგიული მკურნალობა – 3,036.3 ათასი ლარით;

გ) კორონარული ანგიოპლასტიკა – 773.0 ათასი ლარით.“.

9. N18 დანართის (იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა) მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა[1]) მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემიით (ბრუტონის დაავადება) დაავადებული 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები;“.

10. N20 დანართის (სოფლის ექიმი) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 15,123.8 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) ამბულატორიული მომსახურება სოფლად – 11,809.7 ათასი ლარით;

ბ) ამბულატორიული მომსახურება სპეცდაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებში – 3,314.1 ათასი ლარით.“.

11. N21 დანართის (რეფერალური დახმარება) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 7,457,1 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტი – 7,144.1 ათასი ლარით;

ბ) საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმური სამედიცინო დახმარების ხარჯების ანაზღაურების კომპონენტი – 308.0 ათასი ლარით;

გ) ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევის კომპონენტი – 5.0 ათასი ლარით.“.

12. N22 დანართის (3 წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელი და სტაციონარული დახმარება) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 11,904.5 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) სტაციონარული დახმარება – 11,504.5 ათასი ლარით;

ბ) გადაუდებელი დახმარება – 400.0 ათასი ლარით.“.

13. N23 დანართის (მოსახლეობის ურგენტული მომსახურება) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 13,355.3 ათასი ლარით.“.

14. N24 დანართის (ზოგადი ამბულატორიული მომსახურება) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 11,850.7 ათასი ლარით.“.

15. N26 დანართის (სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1,433.1 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმების კომპონენტი – 1,135.0 ათასი ლარით;

ბ) სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების კომპონენტი – 298.1 ათასი ლარით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ნიკა გილაური**